

„კოვიდ 19-თან თანაცხოვრების“ გეგმა

დოკ. ვერსია: 1.1

13 სექტემბერი, 2020

დოკუმენტის შინაარსი

1. კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და პროცესების უწყვეტობა 3
2. „კოვიდ 19“-ისთვის სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა საველე პირობებში 4
3. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომზადება 4
4. რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესრულებისა და აღსრულების კონტროლი 5
5. ეპიდ-კონტაქტების კონტროლი 5
6. ინფიცირების რისკები სავაჭრო ობიექტებში: 6
7. მასობრივი ტესტირების შესაძლებლობის განვითარება 7
8. საჰაერო მიმოსვლა და საზღვრის კვეთები 8
9. სავალუტო და ბიზნეს მანიპულაციების კონტროლი 8
10. სტრატეგიული კომუნიკაციის ჯგუფის შექმნა 9
11. კომუნიკაცია საპატრიარქოსა და რელიგიურ ჯგუფებთან 9
12. უმუშევრობის პრობლემა და დასაქმება 10
13. კრიმინალური ვითარება 11
14. ცნობიერების ამაღლება 12
15. განათლების უწყვეტობა 13
16. კიბერ უსაფრთხოებისა და ეროვნული უსაფრთხოების რისკების დამუშავება 14

COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში საქართველოს ჯანდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკის სფეროებში და სრულიად ქვეყნის განვითარებაში გაჩნდა კოლოსალური რისკები, რომლებზეც გვჭირდება ზუსტი ხედვა. მიუხედავად უამრავი იმ ნაბიჯებისა, რომლებიც უკვე გადაიდგა, ყველა აღნიშნული დარგის ექსპერტიზას უნდა მოეყაროს თავი, გასაგებ, რაციონალურ და ანალიზზე დაფუძნებულ გეგმაში, რომელიც მკაფიოდ უნდა ასახავდეს არსებულ გამოწვევებთან გამკლავების გზებს და რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი პოლიტიკური ინტერესებისაგან. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს COVID 19-თან თანაცხოვრების გეგმას, რეკომენდაციებსა და ხედვებს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია კრიზისთან თანაცხოვრება დამატებითი კრიზისების შექმნისა და ქვეყნის პარალიზების გარეშე. მზად ვართ წარმოვადგინოთ დეტალური, სიღრმისეული ანალიზი დაინტერესებულ მხარეებთან და შესაბამის სამთავრობო ორგანიზაციებთან. გამოვთქვამთ მზაობას ვითანამშრომლოთ ყველა ინდივიდთან, თუ ჯგუფთან, რომელიც დაინტერესებულია პრობლემის გადაწყვეტაში შეიტანოს საკუთარი წვლილი და გააჩნია ამის შესაძლებლობა.

1. კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და პროცესების უწყვეტობა

მნიშვნელოვანია შემუშავდეს გეგმა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვასა და შესაბამისი პროცესების უწყვეტობაზე. გეგმები უნდა დამუშავდეს თითოეული ობიექტისთვის ინდივიდუალურად, გამომდინარე მისი სამუშაო სპეციფიკიდან. მეგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112-ის“ თანამშრომელთა დისტანციურ რეჟიმზე გადართვის შესაძლებლობა.

1.1. საგანგებო მდგომარეობის დროს ფატალური შეიძლება იყოს მოსახლეობაში პანიკისა და შიშის გაჩენა, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის სპეციალურმა სამსახურებმა იმუშაონ შეუფერხებლად. 112-ის შენობაში ასეულობით ადამიანი იყრის თავს და მორიგეობს. არსებული ინფრასტრუქტურა მაღალ რისკიანია და ერთი ადამიანის ინფიცირების შემთხვევაშიც, შეიძლება შეიზღუდოს საპატრულო, სასწრაფო დახმარების, სამაშველო და სახანძრო უსაფრთხოების სერვისების მიწოდება.

2. „კოვიდ 19“-ისთვის სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა საველე პირობებში

იმისათვის, რომ შევძლოთ „კოვიდ 19“-თან თანაცხოვრება მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო დაწესებულებებმაც შეძლონ იმგვარად ოპერირება, რომ არ შეიქმნას დამატებითი საფრთხეები ჯანმრთელი პაციენტების ინფიცირების და არ დაირღვეს კლინიკების ოპერაციული პროცედურების უწყვეტობა. აღნიშნული რისკების შესამცირებლად მიზანშეწონილად მივიჩნევთ შეიქმნას დამატებითი ცალკეული ინფრასტრუქტურა უშუალოდ „კოვიდ 19“-თან სამუშაოდ.

ინფრასტრუქტურული სირთულეების თავიდან ასარიდებლად, მიზანშეწონილია საველე პრინციპით აშენდეს სწრაფი კონსტრუქციები, რომლებიც უშუალოდ „კოვიდ 19“-ით ინფიცირებულებისთვის იქნება განკუთვნილი.

იმისათვის, რომ არ გადაიტვირთოს სამედიცინო დაწესებულებები, ინფრასტრუქტურის დამატებასთან ერთად საჭიროა ადამიანური რესურსების გაზრდა. ამ ნაწილში სამედიცინო ფაკულტეტის შესაბამისი სტუდენტების ექსპრეს ინსტრუქტაჟი შესაძლებელს გახდის რესურსების ოპტიმიზაციას. სტუდენტი მედიკოსების დახმარებით შესაძლებელია პაციენტების მართვა პრე-ჰოსპიტალურ დონეზე და არ გამორიცხავს პარალელურ მუშაობას რეანიმატოლოგებისა თუ კრიტიკული მედიცინის სპეციალისტების.

გამოყოფილ ცალკეულ საველე შენობებში მნიშვნელოვანია არსებობდეს კრიტიკული მედიცინის ელემენტები, რომლებიც მოიცავს არამხოლოდ რეანიმატოლოგების, არამედ კარდიოლოგების, კარდიო ქირურგების, ნევროლოგებისა თუ ნევროპათოლოგების პოზიციებს.

ამავე ცენტრებში შესაძლებელია ტესტირების დამატებითი რესურსების შექმნა, რომლებიც პირველ რიგში შეისწავლიან პოტენციურად დამძიმებად პაციენტებს, როგორებიც არიან მაგალითად იმუნოსუპრესირებული პირები.

3. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომზადება

სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა, რომელიც დღევანდელ რეალობაში ახალი საფრთხეების წყაროა. არსებობს ტევადობის პრობლემა, რის გამოც შეუძლებელია მცირე დისტანციის არსებობაც კი. სწორედ ამიტომ, სასწრაფოდ უნდა დაემატოს დამატებითი სატრანსპორტო ერთეულები. ამასთანავე საჭიროა აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების სისტემატიური დეზინფექციის გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც სრულფასოვნად დამუშავდება თითოეული სამარშრუტო ტაქსტი თუ ავტობუსი სპეციალურ ხსნარებით, ტერალინის, გლიცერინის, სპირტისა და სხვა შპეციალური მინარევების კონსისტენციით. დამუშავების შემდეგ შესაბამისი დროით უნდა შეჩერდეს ავტომობილის ექსპლოატაცია და უზრუნველყოს ჰაერის გაწმენდა მავნე და საშიში აირებისგან, რათა ჯანმრთელობის სხვა რისკები გამოირიცხოს.

4. რეგულაციებისა და რეკომენდაციების შესრულებისა და აღსრულების კონტროლი

პანდემიის პირობებში დაწესებული შეზღუდვები, რეგულაციები, აკრძალვები და რეკომენდაციები ვერ სრულდება სათანადოდ. პრობლემის მიზეზი მთავრობისა და შესაბამისი ორგანიზაციების მხრიდან სათანადოდ კომუნიკაციის არქონაა, რის გამოც მოქალაქეების ნაწილი ექცევა სხვადასხვა სადეზინფორმაციო კამპანიების გავლენის ქვეშ. ამგვარი კამპანიები და გავრცელებული კონსპირაციების თეორიები მოქალაქეებში იწვევენ უნდობლობას და უამრავი ადამიანი საერთოდ არც ცნობს ვირუსის არსებობის ფაქტსა თუ მის სერიოზულობას. ცნობიერების გაზრდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწიია ამ დოკუმენტის, თუმცა რაც არ უნდა იყოს მიზეზი, ფაქტია, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა თუ კერძო კომერციულ დაწესებულებებში არასათანადოდ ხდება მარტივი წესების დაცვა, რომლებიც უკავშირდება სოციალურ დისტანცირებას, პირბადის გამოყენებას და ა.შ. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია გამოვლინდეს კონკრეტული სისუსტეები, რის გამოც არ ხდება წესების დაცვა და აღსრულების შესაბამისი მექანიზმების დაწესება. ნებისმიერ ასეთ ზომას წინ უნდა ახლდეს შესაბამისი კომუნიკაცია.



5. ეპიდ-კონტაქტების კონტროლი

საგანგებო მდგომარეობისა და ე.წ. კომენდანტის საათის პირობებშიც კი შესაძლებელია ახალი, დაუდგენელი წყაროს კლასტერების გაჩენა. ეპიდემიოლოგები ამის დადგენას ძირითადად ინდივიდუალური გამოკითხვით ახდენენ, რაც ჭარბი შემთხვევების პირობებში ვერ იქნება ეფექტიანი. ამ ნაწილში რეკომენდაცია იქნება გამოყენებულ იქნეს სპეციალური აპლიკაცია ან და შსს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესაძლებლობები. ქვემოთ წარმოგიდგენთ რამოდენიმე ვერსიას, ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

5.1. შეიქმნას სპეციალური აპლიკაცია სმარტფონებისა და მობილური მოწყობილობებისათვის, რათა მაქსიმალური სიზუსტით აღირიცხოს ეპიდ კონტაქტები. ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის გატარება მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ, რათა მაქსიმალურად მოხდეს მისი ათვისება. აპლიკაციას, უნდა შეეძლოს GPS სიზუსტით მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად მოაგროვოს ინფორმაცია ერთმანეთთან კომუნიკაციის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ეპიდემიოლოგებს წარედგინოთ გავრცელების ახალი წყაროების შემცირებისათვის.

5.2. ანალოგიური ფუნქციების დამატება ასევე შესაძლებელი არსებულ აპლიკაციებშიც და ასეთი არაერთია. თუნდაც, იგივე 112-ის სპეციალური აპლიკაცია რომელიც უკვე ატვირთულია Apple App Store-სა და Google Play Market-ზე.

5.3. ზემოთ აღნიშნული ამოცანების შესრულებამდე ან მათ პარალელურად, რეკომენდებულია შსს-მ და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოიყენოს ოპერატიულ ტექნიკური სააგენტო და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები განსაკუთრებულ შემთხვევებში ასეთი კონტაქტების დასადგენად.

6. ინფიცირების რისკები სავაჭრო ობიექტებში:

ე.წ. ეპიდემიოლოგიური ფონის დამძიმების შემთხვევაში რეაქციული რეგულაციური ზომები გამოიწვევს სავაჭრო ობიექტებში მოსახლეობის ნაკადის ეპიზოდურ მატებას, როგორც ქვეითების, ისე ავტომობილების. პირველ რიგში ნაკადი გაიზრდება სავაჭრო ობიექტებთან. ყველაზე მეტი ზრდა მოსალოდნელია სასურსათო მაღაზიებსა და ე.წ. სუპერმარკეტებში. ამგვარად, მნიშვნელოვანია კონკრეტული ზომების სწრაფად მიღება.

6.1. სავაჭრო ობიექტებში გასამკაცრებელია როგორც პერსონალის, ისე მომხმარებელთა კონტროლი კოვიდ 19-ის წინააღმდეგ რეკომენდაციების შესრულებაში, მათ შორის ნიღბებსა და დისტანცირებაზე.

6.2. შესამუშავებელია გეგმიური გრაფიკი სადეზინფექციო სამუშაოებისათვის სავაჭრო ობიექტებზე. საქართველოში არსებობს არაერთი კომპანია, რომელიც ამ სფეროში კომპეტენტურია და გააჩნია შესაბამისი რესურსები. მაგალითად, ის კომპანიები, რომლებიც ემსახურებიან რესტორნებსა და კაფე-ბარებს. შესაძლებელია მათი მობილიზება და ჩართვა სავაჭრო სივრცეების გეგმიურ დეზინფექციაში.

6.3. სახელურები, კარები და სხვა ზედაპირები ასეთ სივრცეებში განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს. შემუშავდეს ინსტრუქცია ამგვარ რისკებთან მიმართებაში, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს კარის ღია მდგომარეობაში დატოვებას და სპეციალური კარის მონტაჟს.

6.4. ნაღდი ფული ვირუსის გავრცელების წყარო შეიძლება იყოს. საფინანსო-ეკონომიკური პროცესების ინიცირება, კომერციული ტრანზაქციების დროს ნაღდი ფულის საჭიროების შესამცირებლად. მაგალითად, სმარტფონებზე ტერმინალის აპლიკაციების დაყენება, რომლებიც უკვე არსებობს რამოდენიმე ბანკში და შესაძლებელია სწრაფი ათვისება.

7. მასობრივი ტესტირების შესაძლებლობის განვითარება

პანდემიის პირობებში შეძენილმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სრული ეფექტიანობისათვის მხოლოდ ე.წ. „სწრაფი ტესტი“ ვერ იქნება საკმარისი და რიგ შემთხვევებში არც PCR მეთოდოლოგიით მიღებული შედეგებია სრული სიზუსტის. ადგილობრივი მედიკოსების პრაქტიკით და საქართველოს სამედიცინო დაწესებულებების პროტოკოლითაც მიღებულია რამოდენიმე მეთოდის კომბინაცია, რომელიც მოიცავს როგორც PCR მეთოდს, ისე სისხლის ანალიზს ლეიკოციტების უჩვეულო მატებაზე ან კლებაზე, ისე კომპიუტერულ ტომოგრაფიას, რენტგენს და სხვა საშუალებებს. თუმცა ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოითხოვს სულ მცირე 7 საათს და შესაძლებელია კლინიკების გადატვირთვის პირობებში ეს დრო 24 საათამდე გაიზარდოს. ამ პირობებში, სწრაფი ტესტირების შესაძლებლობას სხვა დამატებითი დანიშნულებაც ეძლევა, თუნდაც სამოქალაქო უსაფრთხოებისა და მოქალაქეებში ემოციური მდგრადობის შენარჩუნებისთვის. ამ ნაწილში მიზანშეწონილად მივიჩნევთ შეიქმნას დამატებითი სივრცეები, მათ შორის ე.წ. Drive Through (ავტომობილებით გადაადგილებისას) ტესტირების შესაძლებლობით. ამგვარად, ტესტირების შესაძლებლობების დივერსიფიკაციით შევძლებთ:

ა. შევამციროთ სამედიცინო დაწესებულებებსა და კვლევით ლაბორატორიებში ტესტირებისას ჯანმრთელ პაციენტებში პოტენციური ინფიცირების რისკები
ბ. გავაუმჯობესოთ სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტთა გამტარიანობა
გ. უზრუნველვყოთ ერთდროულად დიდი ნაკადის უსაფრთხო ტესტირება
დ. უზრუნველვყოთ სამოქალაქო უსაფრთხოება პანდემიის პიკურ ეპიზოდებში

8. საჰაერო მიმოსვლა და საზღვრის კვეთები

ბოლო პერიოდში ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროს მხარდაჭერის მოტივით დაშვებულმა დროებითმა და არაეფექტურმა ზომებმა, რომლებიც ითვალისწინებდა გამონაკლისების დაშვებას ქვეყანაში უცხო ქვეყნებიდან პირების მიღებაზე გამოიწვია რისკების მატება. ინფიცირების ფაქტები და ახალი რისკების ასევე შეიქმნა სახმელეთო ლოჯისტიკური პროცესებიდან.

8.1. ბოლო პერიოდის ინცინდენტების ანალიზის შედეგად ვხედავთ რისკს, რომ საზღვარგარეთიდან შემოსულ პირებზე, რომლებსაც აქვთ კოვიდ 19-ზე ტესტირების უარყოფითი შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტები არაზუსტია. ამდენად, ლოკალური ტესტირების გარეშე დაშვება უნდა შეიზღდოს ან და მოხდეს ყველა ასეთი პირის დროებითი იზოლირება.

8.2. გასამკაცრებელია კონტროლი სახმელეთო გადაზიდვებზე, რომლებიც უკავშირდება ე.წ. „ტრაილერის“ მძღოლებს იმგვარად, რომ ამან არ შექმნას პრობლემები სასურსათო და სხვა სასაწყობე მარაგების უწყვეტობაში.

9. სავალუტო და ბიზნეს მანიპულაციების კონტროლი

დიდ ტრანზაქციებზე ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა გააკონტროლონ არაკეთილსინდისიერი სუბიექტები, რომლებიც სარგებლობენ შექმნილი მდგომარეობით და შესაძლოა ხელს უწყობდნენ ლარის გაუფასურებასა და ეკონომიკურ რყევებს.

ლარის ამგვარი გაუფასურება მხოლოდ მიმდინარე პანდემიით და ობიექტური მიზეზებით ვერ იქნება გამოწვეული. სავარაუდოა, რომ ქვეყანაში არსებობენ ჯგუფები და ინდივიდები, რომლებიც ამას შესაძლოა ხელოვნურად აპროვოცირებდნენ საკუთარი სარგებლის მისაღებად. იგივე შეიძლება პირველადი მოხმარების პროდუქციის ფასებზეც. ამ ეტაპისთვის მთავრობამ მაქსიმალურად უნდა გააკონტროლოს და ანალიზი გააკეთოს ამ პრობლემებზე.

10. სტრატეგიული კომუნიკაციის ჯგუფის შექმნა

სტრატეგიული კომუნიკაცია: მოსახლეობაში შიშის და პანიკის პრევენცია, სამოქალაქო უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება და მათ შორის მნიშვნელოვანი სამთავრობო და ჯანდაცვის რესურსის ეფექტიანად გამოყენება. რეკომენდებულია შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც ორიენტირებული იქნება სტრატეგიულ კომუნიკაციებზე (უწყებათაშორისი, მათ შორის ჯანდაცვის, ეკონომიკისა და უსაფრთხოების კომპეტენციებით).

10.1. დადგინდეს განსაზღვრული საათი ყოველდღიური ბრიფინგისათვის, რომელსაც ეს ჯგუფი წაიყვანს.

10.2. ამავე ჯგუფმა მოსახლეობისთვის უნდა მოიძიოს გავრცელებულ რეკომენდაციები და მიაწოდოს მას მულტიმედია ფორმით, რათა იოლად აღსაქმელი იყოს. მათ შორის ინფორმაცია მითებზე და ცრუ კამპანიებზე, რომლებმაც შეიძლება დააზიანოს მოქალაქეთა ჯანმრთელობა. მაგალითად, თვითმკურნალობის მოწოდებით და ასევე კიდევ უფრო ავნოს ეკონომიკა, სხვადასხვა პროდუქციაზე ჭარბი ხელოვნურად გენერირებული მოთხოვნით.

11. კომუნიკაცია საპატრიარქოსა და რელიგიურ ჯგუფებთან

კანონის უზენაესობა სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტური პრინციპია და ნიშნავს თანასწორობას მის წინაშე. მსოფლიო პანდემიისა და ლოკალური ეპიდემიისას შესაბამისი ეფექტი ვერ ექნება პრევენციულ ზომებს თუ არ იქნება საყოველთაო შეთანხმება. ამ სეგმენტში ორი საკითხი რჩება კრიტიკული:

11.1. საეკლესიო მსახურებებისა და ღონისძიებების იმგვარად წარმართვა, რომ მოსახლეობის ინფიცირების რისკები არ არსებობდეს. ამგვარი რისკების მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ არგუმენტირებული, მონაცემებსა და ფაქტებზე დაფუძნებული ანალიზის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებებით.

11.2. სასულიერო პირების მიერ წარმოებული რიტორიკა მედიასა და სოციალურ ქსელებში შესაძლოა რიგი ახალი ტენდენციების მაპროვოცირებელი გახდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა მოხდეს საპატრიარქოსთან კომუნიკაცია, რათა შესაბამისი ფორმატით მოხდეს გადაწყვეტილების მიღება და არ შეიქმნას ნეგატიური ფონი, რომელიც არამხოლოდ მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, არამედ ეკონომიკასაც დააზიანებს. პანიკა, შიში და დესტაბილიზაცია შესაძლებელია გამოწვეულ იქნეს მოსახლეობის ემოციური მდგომარეობით კრიზისის დროს, რომელიც აუცილებლად გახდება ახალი კრიზისული ტალღების მიზეზი.

11.3. საჭიროა კომუნიკაცია საპატრიარქოსთან, რათა სასულიერო პირების ქადაგების დროს არ მოხდეს კიდევ უფრო მეტი შიშის და ნეგატიური ფონის მატება მრევლისთვის, რადგან მოსახლეობის ემოციური მდგომარეობის გაუარესება.

11.4. ახლა დროა, ყველას მოვუწოდოთ სიმშვიდისკენ და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული აუცილებელი წესების დაცვისკენ.

11.5. აღნიშნული მიდგომები, რეკომენდაციები და რეგულაციები საერთო მოქმედების პრინციპით უნდა გატარდეს საქართველოში მოქმედ ყველა რელიგიურ ჯგუფში, მიუხედავად მრწამსისა თუ აღმსარებლობისა და არ უნდა ატარებდეს შერჩევით ხასიათს.

12. უმუშევრობის პრობლემა და დასაქმება

შექმნილი სიტუაცია ათეულ ათასობით ადამიანს უმუშევარს ტოვებს. ემიგრანტებს, რომლებიც ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო ქვეყანაში შემოდინებული ფულადი რესურსის, დაბრუნება უწევთ და ეს წყაროც იკეტება, იზრდება ფასები ყოველდღიურ პროდუქტებზე, უფასურდება ლარი, ფერხდება ან სულაც იხურება უამრავი ბიზნეს სუბიექტი, მცირდება სამუშაო ადგილები. ამ პირობებში, კი განსაკუთრებით უნდა ვიფიქროთ დასაქმებისა და ადგილობრივი წარმოების სწრაფად აწყობის პრობლემებზე. ამ პრობლემებთან გამკლავების ინსტრუმენტები ხშირად იკარგება ინსტიტუციური ცოდნის გადაცემის პროცესი, და ამ რეკომენდაციების ერთ-ერთი მიზანიც არსებული რესურსების შესახებ შეხსენებაა.

12.1. დასაქმების ნაწილში ეფექტური იქნება თუ ჩაერთვება HR.GOV.GE და დაამუშავებს უმუშევრად დარჩენილი ადამიანების ბაზას, მათი ცოდნის, გამოცდილებისა და უნარების მიხედვით.

12.2. მსგავსი პორტალებისა და შესაძლებლობების მქონე კერძო HR სააგენტოებთნ თანამშრომლობა ერთობლივი მონაცემთა ბაზის წარმოებისათვის.

12.3. ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის მიზანშეწონილია სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაციის აწყობა მცირე მეურნეობებთან, სასათბურე, სასაქონლე-სასაწყობე და ა.შ. რათა მათთან მიემართოს ახალი სამუშაო ადამიანური რესურსი, შესაბამისი უანრების, ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით.

13. კრიმინალური ვითარება

უნდა ველოდოთ, რომ არსებული სიტუაცია გარკვეულწილად წაახალისებს კრიმინალს და შესაბამისად, მზად უნდა იყოს კრიმინალური პოლიცია - პრევენციულად დაამუშაოს შესაბამისი ზომები, რაც გულისხმობს არსებული ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებების გააქტიურებასა და ოპერატიული ვითარების შესაბამისად მოქმედებას. კრიმინალის საფრთხის მატება უშუალოდ მოქალაქეებთან მიმართებაში იმდენად არ არის მოსალოდნელი, რამდენადაც ავტომობილებზე, სავაჭრო ობიექტებზე, ბენზინ-გასამართ სადგურებზე და სხვა ობიექტებზე სადაც ნაღდი ფული შეიძლება ინახებოდეს.

13.1. მიკროსაფინანსოებთან, სალიზინგო კომპანიებთან, ლომბარდებთან და ვალის ამომღებ სამსახურებთან მუშაობა დროებით ზომებზე, რომლებიც მიმართული იქნება ფინანსური ტვირთის შემსუბუქებასა და ყოფითი პრობლემებით მოტივირებული კრიმინალის პრევენციაზე.

13.2. მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგომარეობა კრიზისულ ვითარებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია და უნდა ველოდოთ ამ მიზეზების გამო ისეთი კრიმინალური ტენდენციების გაღვიძებას, როგორიც ვანდალიზმია.

14. ცნობიერების ამაღლება

დღეს ისე როგორც არასდროს, საჭიროა აქტიური, ეფექტური და პოზიტიური კომუნიკაცია მოსახლეობასთან. პ.7-ში აღნიშნული სტრატეგიული კომუნიკაციების ჯგუფი კრიტიკული მნიშვნელობისაა. საჭიროა საგანმანათლებლო საინფორმაციო რესურსების შექმნა, რომელიც არამხოლოდ ელექტრონული, არამედ ბეჭდვითი გზითაც გავრცელდება მოსახლეობაში. სისტემური ხშირი ინტერაქცია და მოსახლეობის ინფორმირება უნდა ხდებოდეს შემდეგ საკითხებზე:

- რა არის კორონავირუსი
- გავრცელების ახალი წყაროები
- ინფორმაცია კლასტერებზე ლოკაციების მიხედვით
- ინფორმაცია ყალბი ახალი ამბების კამპანიებსა და დეზინფორმაციის შესახებ
- რეკომენდაციები, რჩევები, წესები და რეგულაციები
- მთავრობისა და კრიზისების მართვის საბჭოს გადაწყვეტილებები
- ცვლილებები და სიახლეები განათლების, ეკონომიკის თუ სხვა სფეროებში, რომლებიც ხორციელდება პანდემიის პირობებში

ინფორმაცია თავმოყრილი უნდა იყოს მომხმარებლისთვის გასაგები მარტივი ვიზუალური და მულტიმედია ფორმით სხვადასხვა ენებზე და ასევე ითვალისწინებდეს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებსაც.



15. განათლების უწყვეტობა

პანდემიის პერიოდის გახანგრძლივებამ, მნიშვნელოვანია არ გამოიწვიოს განათლების სისტემის უწყვეტობის დარღვევა. ქვეყნის დედაქალაში, სადაც კომპიუტერიზაციის მაღალი დონეა კვლავ რჩება პრობლემები განათლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისას. რეგიონებში კი ეს ვითარება უფრო კრიტიკულია, რადგან უამრავ ოჯახს როგორც პედაგოგების, ისე სკოლის მოსწავლეების მხარეს უბრალოდ არ აქვთ ინტერნეტი, ან შესაბამისი მოწყობილობა. განათლების სისტემის უწყვეტობა მნიშვნელოვანია მოსახლეობის ემოციური მდგრადობისთვის კრიზისის პერიოდში, ისევე როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების კომპონენტში. ამ ნაწილში განათლების სამინისტროს, ასევე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას EMIS-ს გააჩნია საკმარისი ადამიანური და ტექნიკური რესურსი, რათა დაამუშაოს ახალი პლატფორმა.

15.1. საკლასო მეცადინეობები მიმდინარეობს ერთიანად დადგენილი განათლების პროგრამის მიხედვით. შესაბამისად, ახლა როდესაც მასწავლებლები და სკოლები ინდივიდუალურად ცდილობენ სხვადასხვა სისტემების სწრაფად მორგებას და მათი მეშვეობით პროცესის გაგრძელებას, უამრავი პრობლემა წარმოიქმნება. პრობლემები არამხოლოდ ტექნიკური ხასიათის, არამედ ინტერაქციის, ინფორმაციის გადაცემის, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის და ა.შ. რაკი სასკოლო განათლების პროგრამა დადგენილია, არ არის საჭირო ქვეყნის მასშტაბით ათასობით მასწავლებელმა ათიათასობით მოსწავლეს ესაუბროს ამ ფორმატით. შესაძლებელია ჩაიწეროს, ან პირდაპირი ტრანსლაცია გაკეთდეს სპეციალურად მოწყობილი საკლასო ოთახიდან ერთი პედაგოგის გაკვეთილის, მას დაემატოს რამოდენიმე ასისტენტი ვინც კითხვებზე უპასუხებს მოსწავლეებს ინტერნეტ ჩატში, ხოლო გამოკითხვა შესაძლებელია ინტერაქტიული ტესტირებით.

15.2. მომავალი გამოწვევების მზაობისთვის, აუცილებელია სახელმწიფომ დაიწყოს მუშაობა ჰიბრიდული მოდელის სწავლებაზე,რომელიც ითვალისწინებს ნაწილობრივ საკლასო შეხვედრებს და ასევე დისტანციური სწავლების კომპონენტსაც, რადგან მხოლოდ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა ვერ იქნება ეფექტური. სკოლის დანიშნულება არ არის მხოლოდ განათლების მიცემა, ეს სოციალური ინსტიტუციაც არის, სადაც ბავშვი ყალიბდება, იღებს უნარ ჩვევებს, სოციალიზდება, სწავლობს ადაპტაციას, ინტერაქციას და ასე შემდეგ.

16. კიბერ უსაფრთხოებისა და ეროვნული უსაფრთხოების რისკების დამუშავება

მთავრობისა და მსხვილი ორგანიზაციების კომუნიკაცია გამომდინარე პანდემიის მოცემულობიდან ინტერნეტ სივრცეში ერთბაშად ინაცვლებს. უკვე მოხდა რამოდენიმე ინცინდენტი კიბერ სივრცეში, რომელიც მათ შორის ეხებოდა საქართველოს მოსახლეობის პირადი მონაცემების გავრცელებას. სამწუხაროდ, ეს ვითარება ხელს აძლევს კრიმინალს და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს, რომლებიც შეეცდებიან ისარგებლონ შექმნილი ვითარებით. ეს ვითარება კი უფრო მოწყვლადს გვხდის საფრთხის სხვადასხვა ვექტორის მიმართულებით.

16.1. სამთავრობო და სტრატეგიული კომუნიკაციის პირობებში მთავრობამ უნდა დაამუშაოს სპეციალური სამსახურების გეგმები და კომპეტენციები კრიზისის პირობებში მუშაობისათვის. მათ შორის სამთავრობო და სტრატეგიული კომუნიკაციების კუთხით მიზანშეწონილია სპეციალურ რეჟიმზე გადავიდეს: იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო, თავდაცვის სამინისტროს კიბერ უსაფრთხოების ბიურო, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველო და სხვა მომიჯნავე კომპეტენციის საქვეუწყებო ერთეულები.

16.2. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მნიშვნელოვანია დამუშავდეს გეგმა უშუალოდ კრიზისულ პერიოდში, როგორ გაგრძელდება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების მხარდაჭერა მოცემულ რეალობაში განსაკუთრებით კი მიმდინარე ოკუპაციასა და სეპარატისტული ძალების აქტივობებთან მიმართებაში.

პოლიტიკური პარტია „რეფორმერი“

ჩვენ შესახებ

დღეს საქართველოს წინაშე დგას მწვავე პრობლემები ქვეყნის ყველა სტრატეგიული მიმართულებით, დაწყებული ეკონომიკით დამთავრებული ეროვნული უსაფრთხოებით. სწორედ ამიტომ, ჩვენს პლატფორმაზე თავი მოიყარეს ქვეყნის განვითარების იდეით მოტივირებულმა, ენერგიულმა და გამოცდილმა პროფესიონალებმა, რომლებსაც სურთ შექმნან უპრეცენდენტო მოძრაობა.

ჩვენ თავს ვუყრით წარმატებულ, მოტივირებულ და პროფესიონალ ადამიანებს ეკონომიკის, ჯანდაცვის, განათლების, ტექნოლოგიების, უსაფრთხოებისა და სხვა სტრატეგიული მიმართულებებით, რომლებსაც რეფორმერის პლატფორმა მისცემს საჭირო ინსტრუმენტებს და საშუალებებს საკუთარი გამოცდილება, ცოდნა და ექსპერტიზა მოახმარონ ქვეყნის განვითარებას.

ჩვენ გვსურს შევქმნათ ახალი, პოზიტიური დღის წესრიგი საქართველოსთვის. სადაც, გადაწყვეტილებებს მიიღებენ პროგრესულად მოაზროვნე, პროფესიონალი, მოტივირებული, მიუკერძოებელი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გაუმკლავდნენ ქვეყნის მართვის თანამედროვე საჭიროებებს.

რეფორმერის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ

ვებ-გვერდი: https://reformer.ge/

№29ა მიცკევიჩის ქ. თბილისი 0194, საქართველო

ტელეფონი: +995322052031

ელ-ფოსტა: contact@reformer.ge

ან მოგვყევით სოციალურ ქსელებში:

ამ კრიზისმა გვიჩვენა, რომ ჩვენ გვჭირდება ტექნოლოგიური ექსპერტიზის გუნდი, რომელსაც შეუძლია ქვეყნის მასშტაბით თავი მოუყაროს შესაბამის ხალხს, როცა საჭიროა და შეუძლია გადაწყვიტოს პრობლემები. მონაცემებზე და ანალიზზე დაფუძნებული მართვით და არა იმპულსური, პოლიტ-პოპულიზმით!